**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. ლანჩხუთი 18.02.2021 წელი

12.00 საათი

**სხდომას ესწრებოდა**: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

**კომისიის წევრები**: ზაალ სანაძე, კარლო კვიტაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, გოდერძი ქურიძე, რეზო კვერენჩხილაძე, გიორგი გვარჯალაძე, რეზო კვაჭაძე.

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი **ალეკო კირვალიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მოვალეობის შემსრულებელი **რუსუდან გვარჯალაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**
**მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა ალეკო კირვალიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომში - ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება. ინსტიტუტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეიმუშავა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია თანდართული დოკუმენტაციით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ორგანიზებით, ხსენებული განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით 2020 წლის 22 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, სადაც მოსმენილ იქნა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განაშენიანების გეგმის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნათ დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საჯარო განხილვის შედეგებისა და სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების/მოსაზრებების განხილვის შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, განაშენიანების გეგმის კონცეფციას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქ-მშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 260-ე დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქ-მშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი", „სივრცის დაგეგმარებისა და [illegible] გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ქალაქ-მშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 260 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

2. სხვადასხვა

დეპუტატმა ელისო **ქიქინაძემ** განაცხადა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო პუნქტი საგალალო მდგომარეობაშია, არანაირ გარემონტებას და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. კომისიის წევრებმაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია ყველა სოფელს გააჩნდეს თანამედროვე სამედიცინო მომსახურების ცენტრი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და**
**ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე** ემზარ თევდორაძე

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
## ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, ჟორდანიას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №2 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 18.02.2021 წ

2021 წლის 18 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
18.02. 2021 წელი
12. 00 საათი

| სახელი, გვარი | დაწყების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე | $12^{00}$ | |
| 2. კარლო კვიტაიშვილი | $11^{.55}$ | |
| 3. გოდერძი ქურიძე | $12^{00}$ | |
| 4. კახა თედორაძე | — | არ ესწრებოდა |
| 5. რეზო კვაჭაძე | $12^{00}$ | |
| 6. ზაალ სანაძე | $11^{55}$ | |
| 7. ბესიკ კუპრაძე | — | არ ესწრებოდა |
| 8. ამირან ქანთარია | — | არ ესწრებოდა |
| 9. გიორგი გვარჯალაძე | $12^{00}$ | |
| 10. რეზო კვერენჩხილაძე | $12^{00}$ | |
| 11. ელისო ჭიჭინაძე | $10^{50}$ | |
| 12. ამირან გიგინეიშვილი | — | არ ესწრებოდა |
| 13. ლელა ჩახვაძე | — | არ ესწრებოდა |
| 14. ციხანა ურუშაძე | — | არ ესწრებოდა |